



რეფერანდუმი
ნიდერლანდებში

A5



სკანდალი
აეროპორტის გარშემო
გრძელდება

A6



მისილი ხოდორკოვსკის
და პლატონ ლეხაძეს
ბანაძენი გამოუტანეს

A7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 1 ივნისი, 2005 წელი. №121 (981)

ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024; 8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

იურიდიული ოფისი „გაპი“
და გაზეთი „24 საათი“

ანორმირებად პრინტს,
რომლის მიზანსაც
ნაგროვებენ
მოსახლეობისათვის
სამართლებრივი
დახმარება.

A7

ამინდი	1/6	2/6	3/6
თბილისი	28	28	28
ქუთაისი	30	27	22
ბათუმი	28	23	18
სოხუმი	27	23	20
ფოთი	30	26	20
თელავი	27	27	26
ზუგდიდი	32	28	22
ბორჯომი	23	22	22
ახალციხე	27	27	27
ჭიათურა	26	25	22
ბაზრა	26	22	22
სამტრედიო	30	27	22

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში	
აშშ დოლარი	1.8300
ევრო	2.2665
ბრიტანული სტერლინგი	3.3262
რუბლი	0.0649

A	B
აგვისტო	აგვისტო
აგვისტო	აგვისტო
საზოგადოება	საზოგადოება
უცხოური	უცხოური
კონსტიტუცია	კონსტიტუცია
სამართალი	სამართალი
პროცესი	პროცესი

„რევოლუცია მხოლოდ საწყისი ეტაპია“

ჯორჯ სოროსი "ვარდების რევოლუციაში" მისი ფონდის მონაწილეობას მხოლოდ ეგზიტპოლების მომზადებით განსაზღვრავს

დირიჟირი აპალიანი

"ჯორჯ კიდევ ბევრია გასაკეთებელი," - ასეთ შეფასებას გამოთქვამს საქართველოში სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესების მიმართ ცნობილი ფინანსისტი და მეცენატი ჯორჯ სოროსი, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოში არსებულ სიტუაციას და მის მიერ დაარსებული ფონდის "ლია საზოგადოება - საქართველოს" საქმიანობის შედეგებს ეცნობოდა.

"რევოლუცია ლია საზოგადოების ჩამოყალიბებას არ ნიშნავს. ლია საზოგადოების შექმნა ხანგრძლივი და პრომატევეადი სამუშაოა," - აცხადებს ჯორჯ სოროსი. პოსტრევოლუციური საქართველოში იგი, საერთო ჯამში, კმაყოფილია, თუმცა გარკვეულ შენიშვნებს საქართველოს ხელისუფლების მიმართ მაინც გამოთქვამს. პირველ რიგში, სოროსი ხელისუფლებას პოლიციის რეფორმას უჩეხს. თუმცა, შენიშნავს, რომ "პოლიციამ ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს, გაიწვრთნას. არის დაკავებული ნაშრომები ფაქტები. ისინი შემცირდა, მაგრამ, ჯერჯერობით, საბოლოოდ აღმოჩენილი არ არის. ინფორმაციის მისაღებად პოლიციამ უნდა გამოიყენოს სხვა მეტოდები."

კიდევ ერთ მნიშვნელოვან წარმატებად ცნობილი ფინანსისტი საგადასახადო სისტემის რეფორმირებას მიიჩნევს. "ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემია ის, რომ მთავრობამ შემოსავლების ასეთი სწრაფი ზრდის უზრუნველყოფა შეძლო," - აღნიშნა მან და საქართველოს მთავრობას მხარი დაუჭირა მენარმეებისათვის ლიცენზიებისა და სხვა შეზღუდვების გაუქმების საკითხში, რომლებიც, მისი აზრით, "ხელს უწყობდნენ, რომ ყოფილიყო გამოძალა და ქრთამები".

ბაზრძალაბა A3 ბაზრძალა



"ვარდების რევოლუცია" ქართველმა ხალხმა განახორციელა. თუმცა გარკვეული წვლილი ფონდმაც შეიტანა. რითაც მე ვამაყობ," - განაცხადა სოროსმა.

ყველაზე ლამაზი დღეა

თამარ მაისურაძე

4 წლის შალვა აფციაური ხატვის მასწავლებელმა ნანიკომ მონათლა. შალვას მსგავსად, სამების საკათედრო ტაძარში დახლოებით 20 ბავშვი მოინათლა. ნათლობა გუშინ შედგა, რომლის ინიციატორიც სამების მოძღვარი, მღვდელ-მონაზონი მამა ადამი (ახალაძე) გახლდათ.

"ჩვენ ვთხოვეთ ჩვენს მასწავლებლებს, რომ მოგნათლოყიყიყით," - გვითხრა გუშინ მონათლულ ბავშვებს შორის ყველაზე უფროსმა ნათია ტაყაშვილმა. მასთან ერთად მისი სამი და-ძმაც მონათლა. ბავშვები მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ "ლამპონში" ცხოვრობენ. ნათია ლეილა მასწავლებელმა მონათლა, მისი და-ძმები - სხვა მასწავლებლებმა. ბავშვებმა ნათლები თავად აირჩიეს. რამოდენიმე მათგანის თავად სამების ტაძრის მოძღვარმა მონათლა.

მამა ადამს მონათლის მერის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი დაეხმარა. სწორედ მათ შეაჩვიეს სარეაბილიტაციო ცენტრებიდან და სკოლა-ინტერნატებიდან მონათლი ბავშვები. ნათლობის შემდეგ, პატარა ქრისტიანებს საჩუქრად თამარ მახარბლიძის წიგნი "სიზმარას ყველაზე ლამაზი დღე" გადაცეს, მოგვიანებით კი, ისინი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის "ბელურების" აღსაზრდელების მიერ დადგმულ სპექტაკლს "ბურატინოს" დაესწრნენ.

ბაზრძალაბა A2 ბაზრძალა



პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა.

ვინ გაიმარჯვა?

რუსეთ-საქართველოს შეთანხმება ბაზუბის გაყვანის შესახებ მეზობელი ქვეყნების ინტერესებსაც შეეხო

თამარ მაქაღლიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსული მედია არაერთგვაროვნად გამოეხმაურა მოსკოვში, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას. რუსული გამოცემების ნაწილი მხოლოდ მცირე ინფორმაციით შემოიფარგლა, ზოგიერთმა ეს შეთანხმება ქართული მხარის უდავო წარმატებად მონათლა, მესამე ნაწილი კი რუსეთის გამარჯვებაზე აღაპარაკდა.

მაგალითად, "გაზეთი. რუ" ვარაუდობს, რომ რუსეთმა მაინც დაამარცხა საქართველო და მას ბაზუბის გაყვანასთან დაკავშირებული დავა მოუგო. სტატიის სათაურით - "რუსეთი სამხედრო ბაზებს თმობს", ნათქვამია: "მოსკოვში, მოლაპარაკებების შედეგად, ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, რუსეთის ჯარები საქართველოდან გაეღწა არა 2008 წლის დასაწყისში, როგორც ამას ქართველები ითხოვდნენ, არამედ ამ წლის განმავლობაში. ბოლო პერიოდში მხარეები სწორედ ამ რამდენიმე თვის შესახებ კამათობდნენ." ინტერნეტ-გამოცემა რუსეთის მხარის უდავო წარმატებად იმასაც მიიჩნევს, რომ ბათუმში დარჩება რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის ნაწილი. სრულიად საპირისპირო შეფასება გამოიწვია "კომერსანტის" ფურცლებზე. სტატია სათაურით - "ყველაფერი უნდა გავიდეს", საკმაოდ საინტერესო ანალიზს გვთავაზობს და არა მხოლოდ საქართველო-რუსეთის, არამედ რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებზეც საუბრობს.

ბაზრძალაბა A3 ბაზრძალა

თავდაჯერებული უმრავლესობა და აქციანი ოპოზიცია

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის გუშინდელი პლენარული სხდომის დღის წესრიგი საკმაოდ "უწყინარი" ჩანდა, მაგრამ დღის პირველ ნახევარში დეპუტატებმა მაინც "მოახერხეს" ვითარების დაძაბვა. კერძოდ, მწვავე დებატები გაიმართა ისეთი თემების ირგვლივ, როგორიც არის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებები, თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით გამართული ტენდერი, საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა და ანტიტერორისტული ცენტრების ჩამოყალიბება.

ზურაბ ჟვანიას სიკვდილის გამოწვევ მიზეზზე საუბარმა მასმედიიდან ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლა. დეპუტატი ზურაბ ჟვანია მოითხოვს, რომ პრემიერ-მინისტრის დაუშვების გარემოებების შესასწავლად შეიქმნას პარლამენტის საგამოძიებო კომისია, მანამდე კი შინაგან საქმეთა მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა კანონმდებლებს მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიება.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, გამოძიების დასრულებამდე, გუნავას მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეუძლებლად მიიჩნევს და დეპუტატს ურჩევს, სამართალდამცავების მიერ საქმის ბოლომდე მიყვანას დაელოდოს.

ბაზრძალაბა A2 ბაზრძალა

წელს ღვინის ქარხნებს ყურძნის მიღება გაუჭირდებათ

მიმდინარე წელს, ყურძნის მისაღებად, სახელმწიფო ღვინის ქარხნებს სუბსიდიებს აღარ გამოუყოფს. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა კახეთში სტუმრობის დროს განაცხადა.

როგორც მეღვინეები ამბობენ, შესაძლოა, მიმდინარე წლის რთვლის სეზონზე უმართავი სიტუაცია შეიქმნას. ფალსიფიკაციის შედეგად, შარშან წარმეობული ღვინო ჯერ კიდევ გასაყიდაა. თუკი მთავრობამ ფალსიფიკაციის პრობლემა დროულად არ მოაგვარა და ბაზარზე სპირტზე დამზადებული სუროგატების გასაღება არ აიკრძალა, ღვინის ქარხნები თავის პროდუქციას ვერ გაყიდნიან და წელს ყურძენს საერთოდ ვერ ჩაიბარებენ. გლეხები კი, თავის მხრივ, მეწარმეებს სხვა პრეტენზიებს უყენებენ.

ზვიად რააძე

კახეთიდან

გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრის მკვიდრი აკაკი ზარდიაშვილი მამაპაპეულ ვენახს დიდი რუდეუებით უწელობს. ოჯახის მარჩენალი ვაზია. როგორც მევენახე ამბობს, წლების წინ მის ვენახში მოწეული მოსავალით შეიღებეს უმაღლესი დამთავრებინა. ბოლო რამდენიმე წელი კი მას მოსავლის რეალიზება ნერვების ფასად უფდება. ღვინის ქარხნებთან ღამის თევვა ყურძნის ჩასაბარებლად მას წელსაც მოუხდება, თუმცა, შესაძლოა, ქარხნებმა აკაკი ზარდიაშვილის ყურძნის მსგავსად, სხვა მევენახეების მოსავალიც არ მიიღონ. მენარმეებისთვის ასეთი პრობლემა ზის საფუძვლად კი ის იძლევა, რომ ღვინო, რომელიც ქარხნებმა ჯერ კიდევ შარშან გლეხებისგან მიღებული ყურძნით დაამზადეს, არ იყიდება. მეღვინეები ამაში, ერთი მხრივ, მოსახლეობასაც ადანაშაულებენ, რადგან მათ მიერ ქარხანაში ჩასაბარებლად მიტანილი ყურძენი ხშირად უხარისხოა. მეორე მხრივ კი, პრეტენზიებს გამოთქვამდნენ ხელისუფლების მიმართ, რადგან ფალსიფიკაციის პრობლემას მთავრობა ვერ აგვრებს.

“გაჭირდებათ კახელ კაცსაც ეშმაკობა ასწავლა. ყურძნის მიღების დროს არის შემთხვევები, როცა გლეხს დანაშაულებული ყურძენი მოაქვს. გაუჭებულნი მტევანი კი, კარგსაც ვაჩიანებს და ღვინო უხარისხო გამოდის. ამის გამო, ყოფილა შემთხვევა, რომ სანარმო მთელი დღე გაჩერებული, რათა სალი ყურძენი გადაერჩიათ. თუმცა აქ მართო გლეხი არ არის დამანაშავე, მთავრობამაც უნდა მოგვეხდოს ღვინის ქარხნებს. თუ ხელისუფლებამ არ მოგვარა ფალსიფიკაციის პრობლემა, ამ “სენის” წინააღმდეგ მართო ჩვენ უძღურები ვიქნებით,” - ამბობს თელავის ღვინის მარნის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ზურაბ რამაზაშვილი.

გლეხები კი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევენ. გურჯაანელ გივი მაზანაშვილს მიაჩნია, რომ მათ ხარისხიანი პესტიციდების ყიდვის საშუალება რომ ჰქონდეთ და ეკონომიკურად ისეთი ძლიერები იყვნენ, როგორებიც მენარმეები არიან, მათზე უკეთეს მოსავალს ვერავინ მოიყვანდა. “ასე თამამად მეღვინეები იმიტომ საუბრობენ და ჯოხს ჩვენს კისერზე იმიტომ ტყვენ, რომ მათ საცობადი ხალხის ხარჯზე ასობით პექტარნი ვენახი გააშენეს და ახლა აღარ სჭირდებათ უბრალო გლეხების ნაშრომი. რაც შეეხება ყურძნის ხარისხიანობას, ჩვენ იმით ვნაშაობთ ვენახებს, რისი ყიდვის საშუალებაც გვაქვს. ყურძენს მარცვალი რომ უზ-

იანდება, ესეც ქარხნების ბრალია, რადგან გვიან გვანყებინებენ რთვლს,” - ამბობს გივი მაზანაშვილი, რომელსაც მხარს მისი მომიჯნავე აკაკი ზარდიაშვილიც უბამს. ბოლო წლებში კახეთი მართლაც წალეკა ფალსიფიკირებულმა შხამქიმიკატებმა. ყოველ შემოდგომაზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო წინა პლანზე რაიონული საინფორმაციო ცენტრების გახსნის საკითხს სწევს. ასეთი ცენტრები მევენახისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. გლეხს შესაძლებლობა მიეცემა, მიიღოს სასურველი რჩევები და ინფორმაციები ვარგისიანი შხამქიმიკატების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დღეის განხორციელებას საშველი დღემდე არ დაადგა.

რაც სეხება ფალსიფიკირებულ ღვინოს, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ბაზრების სავსეა ასეთი იაფფასიანი პროდუქციით. სწორედ ამის შედეგია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, მოსახლერე რესპუბლიკების ბაზარზე ქართული ღვინის წილი 30 პროცენტით შემცირდა.

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი ირწმუნება, რომ გამოიცა სამთავრობო დადგენილება, რის მიხედვითაც დაიხერა ბრძანება და გამოიყო ორმოცდაათკაციანი ჯგუფი, ფინანსურ პოლიცისთან ერთად, რომლებიც უკვე აწყობს რეიდებს.

კახეთში კი, ყოველწლიურად, როგელთან დაკავშირებით, გლეხების საპროტესტო აქციები იმართება, მაგრამ ამ პრობლემას ხელისუფლება სეზონურად აგვარებს და ერთი წლის შემდეგ, სართვლო ციებ-ცხელება კვლავ მეორდება. ღვინის ქარხნის დირექტორების თქმით, ყურძნის ჩამაბარებასთან დაკავშირებით წელს უფრო მეტი პრობლემა შეიქმნება, რადგან სახელმწიფო ღვინის ქარხნებს სუფსიდიებს აღარ გამოუყოფს. იმის გამო, რომ საქართველოში სოციალური აფეთქება არ მოხდეს, მეღვინეები სახელმწიფოს ახალ იდეას სთავაზობენ. მათი თქმით, მთავრობამ უნდა ააშენოს სპირტის ქარხანა, სადაც, გლეხს საშუალება მიეცემა, ჩააბაროს მოწეული მოსავალი. “ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყველა ღვინის ქარხანას საკუთარი ვენახები გვაქვს და გვირჩევნია ჩვენი წყალმომარაგებით დაეყენოთ ისეთი ღვინოები, რომლებიც ვეროპულ სტანდარტებს გაუთანაბრდება. მთავრობამ კი გლეხის მიერ მოყვანილი მოსავლის მისაღებად სპეციალური საკონიაკე სპირტის ქარხანა უნდა ააშენოს, სადაც ყველანაირი ხარისხის ყურძენს ჩააბარებენ,” - ამბობს სანიორეს ღვინის ქარხნის დირექტორი ნოდარ საქუაშვილი.

თავდაჯერებული უმრავლესობა და აქციანი ოპოზიციონი

პირველი გავრცელება

თავის მხრივ, “კონსერვატორ” კობა დავითაშვილს გამოძიების მსვლელობაში გარედან ჩარევა მიუღებლად მიაჩნია, თუმცა, კოლეგებს იმასაც შეახსენებს, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნა და სხვა მასალები თავად სამართალდამცვეებმა გამოამზეურეს.

“მე მაინტერესებს, ვის ინტერესებში შედიოდა FBI-ის დასკვნის არასწორი თარგმნა და დასჯება თუ არა ამისთვის ვინმე,” - კითხულობს კობა დავითაშვილი, რომელიც იმაზეც ჩივის, რომ დღემდე დაუდგენელია, თუ ვინ გადაჭრა მისი მანქანის სამუხრუჭე მილი ან ვინ დააბრია სამჯერ “კონსერვატორების” ოფისი. დავითაშვილი წუხს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ამა თუ იმ კრიმინალური საქმის დამოუკიდებლად გამოძიების შესაძლებლობა.

ოპოზიციონერი დეპუტატების გამოხატულებაზე ზურაბ ჟვანიას პარტიული თანამებრძოლები ძალიან გააღიზიანა. ხათუნა გოგორიშვილმა “პოლიტიკური მოუს” შეწყვეტა მოითხოვა, მიხეილ მაჭავარიანმა კი ყველას პირბაზი სცა, რომ პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი ზურაბ ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებულ არც ერთ კითხვას უპასუხოდ არ დატოვებს.

“თქვენ სხვა მიზნები გაქვთ, რომლებიც ვერ მიაღწევთ,” - დებატების პოლიტიკურ ქვეტექსტებზე საუბრობს პარლამენტი მოუს ვიცე-სპიკერი, თუმცა, ოპოზიციის გაჩუმება არც ისე იოლია: “რესპუბლიკელი” დავით ბერძენიშვილის თქმით, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საკითხზე საუბარი მხოლოდ მისი მეგობრების ექსკლუზიური უფლება არ არის და გამოძიების ობიექტურად წარმართვა მთელი საზოგადოების ინტერესებში შედის.

“ისე, ზოგიერთები ჟვანიას როგორი მეგობრები იყავით, ყველაზე კარგად იცის,” - ხყრდება უბრუნებს გარდაცვლილი პრემიერის თანაგუნდელებს ბერძენიშვილი.

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დეპუტატები თბილისის საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქციის ტენდერის თემაზეც შეხვედნენ. იგლისავე ხანძრავა შეინიშნავს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით



ჟვანიას გარდაცვალების თემის პრესიდან პარლამენტში გადასაცემი კითხვითი პრემიერ-მინისტრის თანაგუნდელები გააღიზიანა

ვშირებით “თანდათან იკვეთება საფეკო რეპუტაციის მქონე ერიკ გუდისის ფიგურა, რომლის ქმედებები ზურაბ ჟვანიას პრემიერობის დროს ბლოკირებული იყო, მთავრობის სათავეში ზურაბი ნოღაიდელის მოსვლის შემდეგ კი ფრთები გაშალა.”

“24 საათთან” საუბრისას ივლიანე ხაინდრავა აცხადებს: “ერეკ გუდისი წარმოშობით თბილისელი კაცია. მამამისი “ვოენტურის” ქსელის უფროსი იყო. მოსკოვში გადასვლის შემდეგ ერეკი, რუსულ გენერალიტეტთან ერთად, წარმატებით აკეთებდა ფულს. მოგვიანებით, ის ამერიკაში წავიდა. ამ ადამიანს ნამდვილად არა აქვს კარგი რეპუტაცია. იგი იმ ამერიკული ფირმის უკან დგას, რომელიც ტენდერში გამარჯვებულ “ჩელეზიან” ერთად, კონსორციუმში შედის.

გუდისის ინტერესი იკვეთება არა მხოლოდ თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელების მიზნით, არამედ აეროპორტის რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელების მიზნით, რომელიც ტენდერის დასრულების შემდეგ, პარლამენტის მიერ დაგეგმილია. ამ საკითხზე განხილვისას, რომელიც ტენდერის დასრულების შემდეგ, პარლამენტის მიერ დაგეგმილია.

პორტის, არამედ “თბილავიამ-შენის” მიმართაც.”

ოპოზიციის მოთხოვნას, რომ აეროპორტის რეკონსტრუქციის ტენდერის შესასწავლად, პარლამენტში შეიქმნას საგამოძიებო კომისია ან მომხსენებელთა ჯგუფი, ნინო ბურჯანაძე არ ეთანხმება. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ნიკო ლეკუშვილის კომიტეტის დასკვნაში ტენდერის ნაკლები ნაწილები იყდა არის ლაპარაკი, ამასთან, ნათქვამია, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც ობიექტური იყო.

გუშინდელ სხდომაზე კანონმდებელთა ყურადღების ქვეშ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენაც მოხვდა, როგორიც არის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით საქართველოსა და რუსეთის შორის მიღწეული შეთანხმება. ამ ფაქტს ნინო ბურჯანაძე “ისტორიულს” უწოდებს და იმედოვნებს, რომ აღნიშნული შეთანხმება და-

დებით იმპულსს მისცემს ორი ქვეყნის შემდგომ ურთიერთობებს.

“კარგი იქნება, თუ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი სხვა პრობლემებიც ასეთივე წარმატებით გადაწყდება,” - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა აქვს “ჩაფიქრებული” პარლამენტის თავმჯდომარეს.

დავით ბერძენიშვილსაც მიაჩნია, რომ რუსეთ-საქართველოს შეთანხმებაში “ბევრი კარგი რამე წერია,” თუმცა, ოპოზიციონერი დეპუტატს არ მოსწონს, რომ ბათუმის სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურის ნაწილი ანტიტერორისტული ცენტრის ფუნქციონირებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.

“თუ რუსული ბაზების გასვლის სანაცვლოდ, ხელში რუსული სპეცსამსახურები შეგვრჩება, ეს დიდი ვერაფერი შედეგია,” - ეჭვებს არ მალავს დავით ბერძენიშვილი.

ნატო-ს გზაზე შემდგარ საქართველოს ლიტიკა და რუმინეთი დახმარება

პირველი გავრცელება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გუშინ სტუმრია ნობა შენიშვნებიდან. რუმინეთის თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა, ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა იონ მირჩა პლანგუმ და ლიტვის თავდაცვის მინისტრმა გედიმინას კირკილა-სმა ჩვენს ქვეყანას დახმარება აღუთქვეს. ლიტვა ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებში თავის გამოცდილებას გაგვიზიარებს,

ხოლო რუმინეთი თავისი ექსპერტებით დაგვეხმარება.

ლიტვის თავდაცვის მინისტრი საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ლიტვის დელეგაციისთვის მოწყობილი ოფიციალური დახვედრის შემდეგ, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და მისი ლიტველი კოლეგა ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა მინისტრმა გედიმინას კირკილა-სმა ჩვენს ქვეყანას დახმარება აღუთქვეს. ლიტვა ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებში თავის გამოცდილებას გაგვიზიარებს,

ის პერპექტივაზე გააკეთებს. ლიტვა ქართველ სამხედროებს განათლების მიღებაში დახმარება. ორი ქართველი ოფიცერი ლიტვაში კავშირებით საკარგი კურსს გაივს, კიდევ ორი ოფიცერი იქაურ კოლეგებთან ისწავლის, ორს კი ლიტველებში იგლისური ენის შესწავლაში დაეხმარებიან.

იონ მირჩა პლანგუმ თავდაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილეს დავით სიხარულაძეს შეხვდა. როგორც რუმინელი სტუმრის მხრივ კომენტარით გაორკვა, საუბრის ძირითადი თემა თავდაცვის სისტემის დაგეგ-

მარება იყო. ნატო-ს წევრი ქვეყანა რუმინეთი საქართველოს თავის ცოდნას და გამოცდილებას გაუზიარებს. პლანგუმ გუშინ საქართველოს შეიარაღებული ძალების უფროსს ლევან ნიკოლეიშვილსაც ესაუბრა.

დღეისთვის დაგეგმილია რუმინეთის თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივნის შეხვედრა უშიშროების საბჭოს მდივანთან გელა ბუჟუაშვილთან და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან კოტე გაბაშვილთან.

ორი სიტყვით

თბილისი. სტრასბურგში ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის კონგრესის მე-12 სესია იმართება, რომელშიც სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე მიიღებს მონაწილეობას. გიორგი ბარამიძე კონგრესის წინაშე წარსდგება და საქართველოში რეგიონული მმართველობის რეფორმების, ცვლილებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ მოსწენებას წაითხზავს. სესიაში მონაწილეობას მიიღებენ ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი, ასევე ევროპის ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლები. ინტერ-პრესი

თბილისი. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის შესახებ მიღწეულ შეთანხმებას ისტორიულს უწოდებს, თუმცა აცხადებს, რომ ქართული მხარე ყურადღებას არ მოადგენებს, რათა “ვალდებულებების რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონდეს”. მისი თქმით, მხარეთა შეთანხმება “მხოლოდ ქაღალდს წარმოადგენს”, ამიტომ, საქართველო ყურადღებით იქნება, რომ ნაკისრი ვალდებულებები არ დაირღვეს. ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ “ორივე ქვეყნის პრეზიდენტების მხრიდან არსებობს კეთილი ნება, რომ ეს შეთანხმება შესრულდეს”. ინტერ-პრესი

თბილისი. პარლამენტში საქართველოს და ლატვიის პარლამენტების ევროპული კომიტეტების ერთობლივი კონფერენცია გაიმართა, რომელზეც ევროკავშირის დახმარების პროგრამებს ეძღვნება. როგორც კონფერენციის გახსნას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, საქართველოს ხელისუფლებისათვის უმნიშვნელოვანესია, რომ პარლამენტი აქტიურად ჩაერთოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში, რათა შეიქმნას ძლიერი ევროპული სახელმწიფო, რომელიც ისაზოგადობრივი, სამოქალაქო ინსტიტუტები და სახელმწიფო სტრუქტურები ავტომატურ რეჟიმში იმუშავებენ. ინტერ-პრესი

თბილისი. აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლება, უახლოესი სამი-ოთხი წლის განმავლობაში, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას საკურორტო ინფრასტრუქტურის პრივიტიზაციასთან დაკავშირებული ნიშნები გეგმავს.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბალაშოვის თქმით, აფხაზეთის ახალ ხელისუფლებას აფხაზეთის ეკონომიკის რეფორმებისთვის თანხების მოზიდვას გაეროსა და გუდაუთის რაიონებში არსებული საკურორტო ინფრასტრუქტურის პრივიტიზაციით აპირებს. ინტერ-პრესი

თბილისი. “რესპუბლიკელი” პარლამენტარი დავით ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ დისონ-ლონი-სიძეები საქართველოში არ უნდა ტარდებოდეს. “ეს ორგანიზაცია მკვლარდობილია, ამიტომ არ არის ჭკვიანური და კარგი, რომ საქართველოში, თუნდაც პრემიერ-მინისტრების დონეზე ასეთი ღონისძიებები ტარდებოდეს,” - განაცხადა ბერძენიშვილმა. მედიანუსი

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, ცენტრების საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატმა შორის ბევრი ღირსეული ადამიანია.

“წინმეტოქეობა, რომ ამ ადამიანებმა ახლა და შედგომილი საკუთარი საქმიანობით დაიმსახურონ საზოგადოების ნდობა და ისე ჩაატარონ არჩევნები, როგორც ყველა ჩვენთვის სურვილია - ობიექტურად, სამართლიანად და გადარების გარეშე” - აღნიშნა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ მან დაინახა პრეზიდენტის მხრიდან იმის სურვილი, ისე შეერჩია კანდიდატურები, რომ ისინი არჩეულების სამართლიანად ჩატარების გარანტორები ყოფილიყვნენ. მედიანუსი

თბილისი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ნუგზარ აბაშა საქართველოში თურქეთის ელჩი ერთან თეზგორი და საკლარის მეორე მდივანი სიფან ერთად მიიღო. “თურქი დიპლომატები, თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობის დარეგულირების მიზნით, ქართულ-აფხაზურ-თურქული სამხრეთი შეხვედრის გამართვას გვთავაზობენ,” - განაცხადა შეხვედრის შემდეგ ნუგზარ აბაშამ. მედიანუსი

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია “მემარჯვენე ოპოზიცია” წინადადებას აწვდის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებს შეხვედრა. როგორც “ინტერ-პრესისთვის” განხილვის, “მემარჯვენე ოპოზიციის” წინასწარი პოზიცია უკვე ჩამოყალიბებული აქვს და სავარაუდოდ, კანდიდატებს მხარს არ დაუჭერს. ინტერ-პრესი

რეჟერანდუმი ნიდარლანდებში

ევროპის ახალ კონსტიტუციას კიდევ ერთი გამოცდა ელის

საფრანგეთის რეფერენდუმზე ევროპის ახალი კონსტიტუციის ჩავარდნის შემდეგ ანალოგიურ პროგნოზს აკეთებდნენ სოციო-ლოგიური კვლევის სამსახურები ნიდერლანდების შესახებაც. სტატისტიკური მონაცემებით, ერთი-ანი ევროპული სივრცის ახალი უზენაესი კანონის წინააღმდეგი იქნება ნიდერლანდების მოქალაქეთა 60 პროცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიელთა განცხადებით, მათზე საფრანგეთის რეფერენდუმის შედეგები გავლენას არ იქონიებს, რასაც პრემიერ-მინისტრი იან პეტერ ბალკენენდეც ადასტურებს, საპარისპიროზე მეტყველებს მოქალაქეთა ზოგადი განწყობა.

ჰოლანდიელებს, ფრანგების მსგავსად, არ მოსწონთ ევროკავშირის სწრაფი გაფართოება 10 წევრით. გალიზიანების უმთავრესი მიზეზი კი მაინც უკონტროლო იმიგრაციაში ძევს. რაც შეეხება ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას, ჰოლანდიელთა აზრით, ეს პირდაპირ უკავშირდება ევროს.

ევროპის სივრცეში სხვაზე მეტიათვისუფლების მქონე ჰოლან-

დიელები ახალი საერთო უზენაესი კანონის მიღებას, შესაძლოა, სხვა მიზეზის გამოც გაუბოძენ. ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ევროპაში "სუპერსახელმწიფოს" ჩამოყალიბების შემდეგ მათ შეიძლება "მსუბუქი" ნარკოტიკის მოხმარება აუკრძალონ ჰომოსექსუალთა ქრონიზებისა და ევთანაზიის აღკვეთასთან ერთად. ერთი სიტყვით, ევროპელების საერთო კონსტიტუცია ჰოლანდიის ლიბერალურ პოლიტიკას უხეშად ჩარევის სამშრობას უქმნის.

ევროპის ახალი კონსტიტუციის პროექტს ევროკავშირის 25 წევრი-სახელმწიფოდან მხარი ჯერ მხოლოდ ცხრამ დაუჭირა. საფრანგეთმა ეს დოკუმენტი ორი დღის წინ ჩააგდო. თუმცა, კონსტიტუციის იდეისათვის კენჭისყრის პროცესში საინტერესო კენჭყვედვრებსაც ჰქონდა ადგილი პეტროდ, ირლანდიამ პროექტი ორჯერ გამოიტანა დასამტკიცებლად. ფრანგების თქმით, ისინი ირლანდიელთა მადალითს არ მიბაძვენ. ფაქტია, რომ, ნიდერლანდების უარყოფითი დამოკიდებულების დადასტურების შემთხვე-



ევროპის კონსტიტუცია - არა, გამაღმობთ.

იზამის სახელით

მეორე მსოფლიო ომამდე ამერიკის საკმარისი ნავთობი ჰქონდა. ომმა ნათლად აჩვენა ამ რესურსის სტრატეგიული მნიშვნელობა. უკვე 1943 წელს აშშ-ს ტერიტორიაზე ნავთობის ცნობილი მარაგი წელ-წელა იწურებოდა. გაშინგტონმა მზერა სპარსეთის ყურეს მიაპყრო. პრეზიდენტმა რუზველტმა საჰაერო კანონი მიიღო "ლენდ-ლიზის შესახებ" საუდის არაბეთისთვის და ამასთან დააკავშირებთ განაცხადა, რომ "საუდის არაბეთის დაცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აშშ-ს თავდაცვისთვის". 1945 წლის თებერვალში რუზველტი იალტის კონფერენციიდან ეგვიპტეში გაემგზავრა. მისი კრეისერი "კუინსი" დიდი მწარე ტბის ნაპირს მიაღწა. მან გემბანზე საუდის არაბეთის მონარქი აბდულ-აზიზი მიიღო. არაბი შეიხი ეგვიპტეში ამერიკის სამხედრო გემით ჩასულიყო.

ეკიპაჟის წევრებს გვირგვინო-სანმა მგზავრა პრობლემაში შეუქმნა - გემზე რამდენიმე ცოცხალი ცხვრის აყვანა მოითხოვა. მზარეულები ყოველდღე თითო ცხვარს კლავდნენ. მონარქმა კი უტაში დაძინებაზე უარი განაცხადა და გემბანზე კარვის გაშლა მოითხოვა.

არაბი ამირა არწმუნებდა ამერიკის პრეზიდენტს, უარი ეთქვა პალესტინაში ებრაელების ჩასახლების ხელშეწყობაზე. მისი აზრით, ებრაელებისთვის ტერიტორია გერმანელებს უნდა გამოეყო - მათ თავს დატყბილ უბედურებებში ხომ გერმანელებს მიუძღვით ბრალი და არა - არაბებს. პრეზიდენტმა ამ "კონსტრუქციულ შეთავაზებაზე" პასუხად განაცხადა, რომ ებრაელებს თავად

აქეთ პალესტინაში დასახლების "სენტიმენტალური სურვილი". რაც შეეხება სხვა საკითხებს, მათ არაფერზე მიაღწიეს ურთიერთგაგებას. ამერიკელებმა საუდის არაბეთის ტერიტორიაზე დაპრანის სამხედრო-საჰაერო ბაზის მშენებლობისა და ხმელთაშუა ზღვაში ნავთობსადენის გაყვანის უფლება მიიღეს.

თუმცა, იმავე წლის აპრილში რუზველტი გარდაიცვალა. ახალმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა კი იგნორირება გაუკეთა მისი წინამორბედის მიერ დიდ მწარე ტბაზე მიღწეულ ყველა შეთანხმებას. "ძალიან ვწუხვარ, ჯენტლმენებო, მაგრამ ჩემს ამომრჩეველებს შორის ასობით არაბი არ არის," - განუცხადა მან თავის თანამემგებებს.

1948 წელს ტრუმენმა ისრაელის სახელმწიფო ცნო, რის შემდეგაც აშშ-ს ურთიერთობა საუდის არაბეთთან ერთ ადგილას გაიყინა. მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ, 1977 წლის მაისში, აბდულ-აზიზის მეითზე ვაფს, მემკვიდრე პრინცს ფაჰდის მოუწვევს თბილი მიღება ვაშინგტონში - პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა საუდის არაბეთი რეგიონში აშშ-ს მთავარ მოკავშირედ დაასახელა და ავიგამანადგურებელი F-15 Eagle-ის პარტია (იმ დროს ყველაზე თანამედროვე საბრძოლო მანქანა) შესთავაზა.

ერთი წლის შემდეგ სენატმა შეთანხმება დაამტკიცა, ვაშინგტონში კი - პალესტინის განმტავისუფლებელი ორგანიზაციის ოფისი გაიხსნა. 1981 წელს ერაყი-ადმა ახალი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა - რონალდ რეიგანის ადმინისტრაცია დათანხმ-



ფაჰდ ბინ აბდულ აზიზ ალ-საუდი ლიად უჭერს მხარს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ თავად ეს გავრიც ხომ დიდი? ვაშაბას ერთ-ერთი მემკვიდრეა.

და საუდის არაბეთისთვის ჰაერ-საწინააღმდეგო გამაფრთხილებელი და მართვის "ავაქსის" (Airborne Warning and Control System) სისტემებით აღჭურვილი თვითმფრინავები მიეყიდა. ასეთი ჯერ კიდევ არ ჰქონდა. ისრაელის ლობიმ ევრაფერი განაყო აღნიშნული გარიგების წინააღმდეგ.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ არაბი მონარქის რეპუტაცია აშშ-ში საგრძნობლად შეილახა. აღმოჩნდა, რომ 19-დან 15 თვითმ-

ფრინავის გამტაცებელი, ისევე, როგორც ტერორისტული ქსელის მეთაური, საუდის არაბეთიდან იყო. გამოძღვანდა სამეფო გვარის წარმომადგენლების მიერ მუსლიმი ექსტრემისტების მხარდახმალდები ისრაელს იმ დროს, ისინი (საუდელელები) ვაშაბიზმის ფუძემდებლების პირდაპირი მემკვიდრეები იყვნენ: ამჟამინდელი მეფის მეექვსე თაობის წინაპარი ამირა მუჰამედ იბნ საუდი მუჰამედ აბდ ელ-ვაჰაბას ქალიშვილზე იყო დაქორწინებული.

ვაში, ევროპის ახალ კონსტიტუციას დროში დიდი ხნით გადავადება მოუწევს. სწორედ ამ სავალალო შედეგების თავიდან აცილების მიზნით, მოუწოდებდა დღემდე იან პეტერ ბალკენენდე თანამემამულებს, მეტი გულისხმიერება და დადებითი დამოკიდებულება გამოეყვანებინათ დიდი ევროპული იდეისადმი.

“ჰოლანდიელი ხალხი არ უნდა გაჰყვას ფრანგების კვალს. მან საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა გააკეთოს არჩევანი,” - აცხადებდა ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი.

ჰოლანდიის არჩევანი ამ საღამოს გახდება ცნობილი - მიბაძვენ ფრანგებს, როგორც ამას ჰოლანდიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი პარი ვან ბო-მელი ვარაუდობდა, თუ ახალი კონსტიტუციის სასარგებლოდ გადადგამენ ნაბიჯს.

ასეა თუ ისე, ჰოლანდიის ხელისუფლება მოსახლეობას არწმუნებს, კონსტიტუციას მხარი დაუჭრონ, რათა ერთიან ევროპაში ქვეყნის პოლიტიკური ავტორიტეტის შესუსტების საფრთხე თავიდან აიცილონ. **ბი ზი სი**

ორი სიტყვით

საფრანგეთი. დაპირებისამებრ, ელვის სისწრაფით განახორციელა სახელი-სუფლუბო ცვლილება საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა. საფრანგეთში რეფერენდუმის შედეგებმა ჟან პიერ რაფარენის საბი მუხინრა და ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრი ქვეყნის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი დომინიკ დევილპენი გახდა. მასვე დაევალა მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირება. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა გადადგომის შესახებ რაფარენის თხოვნა დააკმაყოფილა. უახლოესი თანამებრძოლის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შირაკმა განცხადება იმავე საღამოს ელისეს სასახლეში გააკეთა. **24 საათი**

ერაყი. ერაყის ქალაქ ენ-ნასირის მახლობლად იტალიური სამხედრო ვერტმფრენი ჩამოვარდა, რის შედეგადაც ოთხი ჯარისკაცი დაიღუპა. ამის შესახებ "როიტერის" სააგენტო ერაყში იტალიის არმიის სარდლობაზე დაყრდნობით იუწყება. მომხდარის სხვა დეტალები ვერჯერობით უცნობია. ერაყში, დაახლოებით, 3000 იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობს. ქვეყანაში ტერაქტები არ წყდება. ამ დღით ქალაქ ბაჰულებში ერაყის არმიის ბლოკ-საგუშავისთან დაწალმული სატვირთო ავტომანქანა აფეთქდა. ტერაქტის შედეგად ორი ერაყელი დაიღუპა და კიდევ 7 დაიჭრა. **ინტერპრესი**

აზია. სააგენტო "კიოდო ცუნში"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამხრეთ კორეის პრეზიდენტის ნო მუ ჰუნისა და იაპონიის პრემიერ-მინისტრის ძი-უნიშიძო კიოდუმის იენისში დაგეგმილი შეხვედრის გადადება არ გახდება საჭირო. სამიტის გადადების შესახებ ჭკვიანის საფუძველს აშშ-კორეის ურთიერთობათა თაობაზე ჩრდლოეთი კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის სეტარო იატის ტენდენციური განცხადებები იძლეოდა. როგორც გასულ კვირას ტოკიოში შეხვედრაზე იატომ სამხრეთ კორეის პარლამენტის დელუტატებს განუცხადა, იაპონია სეულთან მჭიდრო თანამშრომლობით არაა დაინტერესებული, რაც სამხრეთ კორეისადმი აშშ-ს უნდობლობითაა განპირობებული. ჩრდილოეთ კორეის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, "ფუზინიანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით განაღებულ დავაში აშშ და იაპონია ერთ მხარეს დგანან, ჩინეთი და ჩრდილოეთი კორეა - მეორე მხარეს, სამხრეთი კორეა კი სადღაც შუაშია, მაგრამ - ოფიციალური პეკინისა და ფუზინიანისკენაა გადახრილი".

ასეთი განცხადებების შემდეგ სეულმა ტოკიოსაგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა, ხოლო საგარეო უწყებაში სამრეგისტრო ნოტის გადასაცემად სამხრეთ კორეაში იაპონიის ელჩი ტისიუკი ტაკეანი დაიბარეს. სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის პან გი მუნის განცხადებით, იატის განცხადებებმა უდავოდ ჰპოვა პარყოფითი ასახვა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე, თუმცა იქვე დამატდა, რომ იენისში დაგეგმილი შეხვედრა ამ ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის კარგი შესაძლებლობა იქნება. პან გი მუნისვე თქმით, იენისში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა იგეგმება - კერძოდ, 11 იენისს სამხრეთ კორეის პრეზიდენტი ნო მუ ჰუნი ამერიკელ კოლეგას ჯორჯ ბუშს შეხვდება. მოლაპარაკებების ძირითადი თემა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის პრობლემური საკითხის განხილვა იქნება. **რიაზოვოსტი**

ერ-რიადის საცხოვრებელ კომპლექსში აფეთქებით უპასუხეს და ადამიანის, მათ შორის, ცხრა ამერიკელის სიცოცხლეც შეიწირა. უკან დახვევას აზრი არ ჰქონდა. ტერორისტების საიდუმლო თავგესაფრებზე რეიდები კვლავაც გრძელდება. გვირგვინოსანი პრინცი აბდალა მოქალაქეებს "ბოროტი ძალების" განადგურებისკენ მოუწოდებს.

მეფე ფაჰდის სიკვდილთან ერთად შეიძლება დინასტიის აღსასრული დადგეს. იმ ფაქტმა, რომ პრინცი აბდალა ტახტის მემკვიდრედ ითვლება, შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ნებისმიერი მონარქიის სიტუაცია ასოვს პრეცედენტები, როცა მემკვიდრე მემკვიდრეობის გარეშე რჩება. საუდის არაბეთში არ არსებობს კანონი ტახტზე ავსელის წესის შესახებ. ამჟამინდელი მმართველის წინამორბედ აბდულ-აზიზს 22 ცოლი ჰყავდა, რის გამოც, მონარქს ტახტის მემკვიდრეები მრავლად დარჩა. ტახტის ბედს უფროსი ვაჟების (უმრავლესობა ალალი ძმები არიან) კონსესუსი წყვეტს. აბდალა ახლანდელი მმართველის - ფაჰდის შემდეგ გვარში ასაკით ყველაზე უფროსია.

თუმცა, მას კიდევ შვიდი ალალი ძმა ჰყავს პრინციებიდან (ერთი დედის - გავლენიანი არაბული კლანის, სუდაირების წარმომადგენელი ქალბატონის შვილები) და მათ უმნიშვნელოვანესი თანამდებობები უკავიათ ქვეყანაში: პრინცი სულთან - თავდაცვის მინისტრია, პრინცი ნაჯფი - ერ-რიადის გუბერნატორი, პრინცი სალმანი - შინაგან საქმეთა მინისტრი.

1995 წელს, მაშინ, როცა საუდის მმართველ ფაჰდის შტეტვა დაემართა, მისი ძმები მაშინვე საავადმ-

ყოფოსკენ გაშურნენ - რეკავდნენ ამერიკასა და ევროპაში ექიმებთან ერთადერთი თხოვნით - მეტარჩუნენითა მონარქისთვის სიცოცხლე, თუნდაც - უფუნქციო მდგომარეობაში. მას შემდეგ ფაჰდი მეფობს, თუმცა ქვეყნის რეალურ მმართველობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მართალია, "ვევეტარქი" მდგომარეობამდე ვერ არ მისულა, მაგრამ ის, რომ არაბი მმართველი მოვლენებს გერ აკონტროლებდა, უფრო სიტყვაც - იგი ხშირად უახლოესი ნათესავისავე კერძობდა, არაბისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს. გამორიცხული არ არის, ახლაც ანალოგიურად იყოს საშე. ოფიციალური განცხადებით ფაჰდის ჯანმრთელობის "სტაბილური მდგომარეობის" შესახებ არაფერზე მეტყველებს - ზოგიერთი ინფორმაციით, იგი კომაშია.

რა აზრი აქვს მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას? - იგი ხომ ადრე თუ გვიან მიიწვ მოკვდება და ტახტზე რევენტი აბდალა ავა. თუმცა, შეიძლება ვერც ავიდეს: რევენტიც არ არის ახალგაზრდა. იგი, სხვათა შორის, მხოლოდ ერთი წლითაა ფაჰდიზე უმცროსი - 81 წლისაა. ასე რომ, შეიძლება მონარქზე ადრეც გარდაიცვალა. აი, რაზეა გაკეთებული გათვლა.

კრონმწიფისთვის ამ ვითარებაში დასავლური, პროამერიკული კურსი მისი გადარჩენის (პირდაპირი და სრული გაგებით) შანსს ნიშნავს. მისმა მონინალმდევეგებმა, შესაძლოა, ქვეყნის საჭე სულ სხვა - ტრადიციული იდეოლოგიის მიმართულებით შეაბრუნონ. მათთვის ხომ ვაჰაბიზმზე უარის თქმა იგივეა, რაც ბოლშევიკებისთვის -მარქსიზმზე.

გვანირუ

თავაზრკობიდა "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February

გამოწარიმ.
on subscription basis

e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25

24

World
Structure and the
Student

Georgia
informe

Extant
Used

ბევრი რამ იწერება აფხაზეთზე, მაგრამ ესაა მდარე ხარისხის ლიტერატურა. ეს ნაწარმოებები კი გამოირჩევა არა მხოლოდ სამოქალაქო პოზიციით, არამედ ლიტერატურული ღირებულებებითაც. ძალად ძელია, ამჟამად შორიდან ისაუბრო აფხაზეთში მიმდინა-

დიდი კომბინატორი

გუშინ არჩილ გომიაშვილი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა



1997 წლებში ევროპის საუკეთესო და-ნესეტულეზად დაასახელეს. ბიზნესი გომიაშვილმა 62 წლის ასაკში წამოიწყო. ამბობენ, რომ მან კარგად გამოიყენა თავისი ცნობილი კი-ნოვების მარიფათიანობა და იღბაღ-იც ოსტაპ ბენდერითი სწყალობდა. თავად მსახიობი საკუთარი გამდიდ-რების შესახებ იგონებდა, რომ 80-იან

წლებში დასავლეთ ბერლინში მილიო-ნერი მაიკლ ფელდს შეხვდა. მისი ავტო-ბიოგრაფიული ნივნის მიხედვით გო-მიაშვილმა ფილმის გადაღება გადამე-ციტა და სცენარის წერაც დაიწყო. სა-ბოლოოდ გადაღებები ჩაიშალა. სწო-რედ ამ პერიოდში არჩილ გომიაშვილ-მა კახინოში 100 წარეთი 100 ათასი მოიგო, ხოლო გერმანელმა მილიონე-

რმა ფილმის პროექტის ჩადგების სა-კომპენსაციოდ ათი სათამაშო დარბა-ზი აჩუქა.

მსახიობმა სათამაშო ბიზნესი მა-ლევე გაყიდა და მოსკოვში დაბრუნდა. შემდეგ კი დიდმა კომბინატორმა "სი-ტი-ბიზნესის" ერა წამოიწყო. კლუბი მა კახინოში 100 წარეთი 100 ათასი მოიგო, ხოლო გერმანელმა მილიონე-

ნდის საყვარელი თავშესრის ადგილი იყო. დღეს კლუბი აღარ არსებობს, ამ-ბობენ, რომ მფლობელმა იგი გაკოტ-რების გამო გაყიდა.

ოსტაპ ბენდერს გომიაშვილი ფი-ლმამდე გაცილებით ადრე "შეხვდა". მან "ოქროს კერპის" მიხედვით დადგა მიუხილი "ოსტაპ ბენდერის თავგა-დასავლები", რომელშიც ყველა როლს თავად ასრულებდა. ერთ-ერთ წარმო-დგენას ლეონიდ გაიდაიც დაესწრო და მაშინვე მიიწვია სინჯებზე. "როდესაც სტუდიაში მივედი, ბენდერის თეთრი კეპი მესურა. ჩემს სანახავედ მთელმა გადამღებმა ჯგუფმა მოიყარა თავი. თუმცა, უნდობლობით საესე მათი მზერა არ მომეწონა, გამოებრუნდი და წამოვედი. რამდენჯერმე კვლავ მივი-ლე გადაღებებზე მინვევა, მაგრამ უარს ვამბობდი. მოგვიანებით მევი-ტყვე, რომ როლზე ალექსანდრე ბე-ლიაესკი დამტკიცეს", - იგონებდა მსახიობი.

ხუთი თვის შემდეგ გაიდაი მიხვდა, რომ ფილმი ოსტაპ ბენდერზე კი არა, კისა ვირობიანიწოზე გამოსდიოდა, ამიტომ კვლავ შეეცადა გომიაშვილის დაყოლიებას. ის რომ, გაიდაიმ მსახი-ობთან საერთო ენა მაინც გამოწანა, ყველასთვის ცნობილია.

ბეერს აღიზიანებდა, რომ ოსტაპ-ის როლი ქართველმა მსახიობმა შეას-რულა, თუმცა, პრემიერის მეორე დღეს არჩილ გომიაშვილმა ვარს კვლა-ვად გაიღვიმა და საჭმთა კინოს ათ საუკეთესო მსახიობთა შორის მოხე-და.

დღეს ბეერს კამათობენ იმის შესე-ხებ, არჩილ გომიაშვილის ოსტაპი ჯობს თუ ანდრეი მირონოვის, თუმცა, ერთ რამეზე ყველა თანხმდება - გომი-აშვილმა საკუთარი ოქროს როლი შეე-გნა.

ქართული დიზაინის არსი

გოდოლიდან სივრცის დაგეგმარებამდე

ვერა ნაფარიძე

წელს "ქართული დიზაინის" მონაწილეთა რაოდენობა 35-დან 61-მდე გაიზარდა. ლონსძიების ორგანიზატორებიცა და წამუშევრების შემფასებელიც ერთხმად აღიარებდნენ, რომ კონკურსი კიდევ უფრო პოპულარული გახდა ახალგაზრდა დიზაინერებს შორის და, რაც მთავარია, პოპულარობა და მონაწილეთა ზრდა "ქართული დიზაინის" შედეგებზეც აისახა. გუშინ კომპანია "არსის" დაჯილდოების ცერემონიაზე გამარჯვებულები სამი ნომინაციის თორმეტ კატეგორიაში გამოაილენეს.

საწნახელი-აბაზანა, სალამური-ნათურა, ფაფახი-ღამის ნათურა, ეთ-ნოგრაფიული ორნამენტები საყოფა-ცხოვრებო ნივთების, ინტერიერ-ექ-სტერიერის შემადგენლი ელემენტე-ბის დიზაინი, - თუ როგორ შეიძლება გემოვნებით, წარმატებულად თუ ნაკ-ლებად წარმატებულად ამ ამოცანის შესრულება, გუშინ შარდენის ქუჩაზე ღია ცის ქვეშ მოწოდეს გამომწვანზე ვახანთ. საკონკურსოდ შეყვანილი წა-მუშევრების ექსპოზიცია აიხიერდან კომპანია "არსის" გალერაში გადი-ნაცვლებს. წამუშევრებმა, ზოგადად, კარგი შთაბეჭდილება დატოვა დამო-



დაჯილდოება ღია ცის ქვეშ

ვალერეებლებზე. ყოველ შემთხვევა-ში, გამარჯვებული პროექტებით უკ-ნაყოფილო ვერ დარჩებიდი.

არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნეშების კომპანია "არსის" მიერ ორგანიზებული კონკურსი მეორედ გა-იმართა. კონკურსი მარმან, დეკემბერ-ში გამოცხადდა. რეგისტრაცია 160 მსურველმა გაიარა, ხოლო კონკურზე წარსადგენად 61 წამუშევარი შეარჩიეს.

ორგანიზატორები ამაყად აცხადე-ბენ, რომ "ქართული დიზაინი" ერთა-დერთი კონკურსია, რომელიც დიზაინ-ის ყველა სფეროს მოიცავს. ეს სფერო-ები სამ ნომინაციაში წარმოდგენილი; თითოეულ ნომინაციას კი გამარჯვე-ბულეებისთვის სამ-სამ პრემია აქვს; ამახ გარდა, "ქართული დიზაინი" ირჩ-ევს წარმატებულ არქიტექტორს, ეთ-ნოგრაფი, გამოყენებითი ხელოვნების

ფიური არჩევს. "ფიურის შემადგენლო-ბენ, რომ თანამედროვე ხელოვნების სხვა-დასხვა დარგის სპეციალისტები არი-ან", - ამბობენ ორგანიზატორები და საითთაოდ გვაცნობენ მათ. ექსპერტ-თა აუკაციან საბჭოში მოხდნენ: არ-ქიტექტორები (სტუდებიდან: "ორი" და "ჩემი სახლი", კომპანია "არსიდან", დამოუკიდებელი არქიტექტორი), ეთ-ნოგრაფი, გამოყენებითი ხელოვნების

სამი ნომინაციის თორმეტ კატეგორიაში გამოაილენეს

უდაბნოში „ოაზისი“ გამოჩნდა

არ დაუჭეროთ სიმართლეს

“ლოს ანჯელეს ტაიმისი” მიმომ-ხილველი რობერტ პილბერნი ყურა-დღებით აკვირდება დიდ პრიტანეთში მიმდინარე მოვლენებს და დაასკვნის, რომ შეიძლება მალე მუსიკალურ უდა-ბნოში 90-იანი წლების ოაზისი გამოი-წელს.

ასე ფიქრის საშუალებას ამავე სა-ხელწოდების მქონე ჯგუფის ახალი ალბომი იძლევა. Don't Believe the Truth ("ნუ დაუჯერებ სიმართლეს") - ასე ჰქვია ერებსა, რომელიც მადა-ზიებში გუშინ გამოჩნდა, "წინმსწერ-ზე" აჟიოტაჟი კი მშენებლში რამდენი-მე თვის წინ გამოიწვია.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ დაბ-რუნება შედაგვარია. ჯგუფის წევრები შეცვლილები ჩანან, უფრო დაწყნარე-ბულენი. აი, თუნდაც ერთი დატალი: ნოელ გალაპერმა ჟურნალისტს ინტე-რვიუ საღამოს 9 საათზე დაუწინმა და ეს ერთადერთი მიზეზის გამო გააკე-თა - უნდოდა, ჯერ შვილი დაეძინეი-ნა და საქმეებისთვის მერე მიეტედა.

არადა, ზუსტად ათი წლის წინ ნა-ბაზუსევი ნოელ გალაპერი საღამოს 9 საათზე ცალ თვალს ძლივს ახელდა ხოლმე, ზანტად საუზმობდა და მერე მთელი ღამის განმავლობაში აკეთბი-და ისევ იჯივს - თავით ეტეებოდა ნა-რკოტესა და იმავე თემატიკის წვეუ-ლებებში.

მოკლედ, სიტუაცია შეიცვალა. "ოაზისმა" კი ყველა სხვა ჯგუფზე უკ-ეთ შტოლი იმ კლიშეგან თავის დაღ-წევა, რომელსაც "სექსი, ნარკოტიკი და როკ-ენ-როლი" ჰქვია და რომელიც წარმატებულ როკ-ჯგუფად ყოფნას ახლავს თან.

"ოაზისი" კი დებიუტის შემდეგ სწორედ ასეთი იყო - სუპერწარმატე-ბული. მეტეც, 90-იან წლების პრივა-ნეთში ის ისევე უყვარდათ და აფები-შებდნენ, როგორც თავის დროზე - "ბითლსი".

დებიუტიდან ათი წლის თავზე კი ნოელ გალაპერი მამობს. ინტერვიუმ-დე დარჩენილ დროს სათამაშოზე მაღაზიებში სიარულის ანდომებს და თავის 5 წლის გოგონასთან ანასთან ერთად ერთობა.



"რამდენიმე კვირაა, ანასი არ მი-ნახავს. არდადეგებზე იყო წასული, ახლახან დაბრუნდა. ამიტომ არ მიწ-დოდა, მეთქვა, "შვილო, დარჩი შინ, მამას საქმეები აქვს და უნდა წავიდე" მეთქი". მსურდა, საღამო მასთან გაეე-ტარებინა და დაელოდებოდი, როდის დაიძინებდა", - იბოდიშებს გალაპერი და კიდევ ერთხელ არწმუნებს მსმენ-ელს, რომ დღეს ანასი მისი ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

ამ ბედნიერებას სხვა ბედნიერე-ბე მოჰყვება. უფრო მუსიკალურ-შე-მოქმედებით. შედეგი სკეპტიციზმით აღსავსე დღეობს ქვეშ გაერთიანბუ-ლი სიმღერებია - "არ დაუჯერო სიმა-როლეს".

კრებულში შემავალი 11-ივე სიმ-

შანსი კი ბიჭებს პრიტანეთთან ერთად უკვე ამერიკაც აძლევს.

შანსის მიზეზი ხმაურიაინი და ეწ-ერგიული წარსულია, უფრო სწორ-ად, დებიუტი. 1994 წლის სადებიუტო ალბომის Definitely Maybe-ის გამეშ-ნელი ფრაზა ღიამ გალაპერის შემა-ხილი იყო: "ამაღამ მე როკ-ვარსკე-ლავი ვარ". ეს ფრაზა და მასთან ერ-თად მთელი ალბომი აბსოლუტური სისახსით გადმოსცემდა "ოაზისის" თავებობაში გადაზრდილ ახალგა-ზრდულ გაბედულებას და პრეტენ-ზიულ ეგოს. იმხანად ჯგუფის ყველა სიმღერის ავტორი ნოელი იყო. მანვე გააკეთა ისეთი ტიტები, როგორები-ცაა: Live Forever და Wonderwall და "ოაზისის" სახელი დედამირის ყვე-ლაზე მიყრუებულ კუთხეზე უკუშალე-ბშიც გატყორცნა.

სწორედ ამ სიმღერებიდან წამოს-ულ ენერგიას ასხენებს კრიტიკოსებს ახალი ალბომი, განსაკუთრებით კი ორი სიმღერა: Turn Up The Sun ("მა-ღალი მზე") და A Bell Will Ring ("ზარი გასიმბა").

"ჩემი არც ერთი არ არის. ენდმი (ბასისტი ენდი ბელი) დაწერა Turn Up The Sun, A Bell Will Ring კი - ჯემმა (რიტმ-გიტარისტის ჯემ არჩერი). სამი სიმღერა ლიამს ეკუთვნის, სხვათა შო-რის, მშვენიერად გაართვა თავი", - აცხადებს ნოელი.

როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, ნოელ გალაპერმა ოილად დათმო სიმ-ღერების ავტორის გვირგვინი. შესაბა-მისად, კონტროლიც კრებულში შემა-ვალ სიმღერებზე თანაზრად გადწან-ნილდა. ეს კი საკითხისადმი ძალიან

ჯანსაღი დამოკიდებულებაა, რადგან, როგორც ვეასივს, ჩხუბი სიმღერებ-ის წერაზე უამრავ ჯგუფში ხდებოდა, მათ შორის, "ბითლზშიც". ნოელი კი, რომელსაც ახალ ალბო-მში ხუთი სიმღერა ეკუთვნის, დასძი-ენს: "სხვები მტკიცეწულად განიცდი-უნის ვრცელ მასალაში კი ყველაფერი აღსავსე დღეობს ქვეშ გაერთიანბუ-ლი სიმღერებია - "არ დაუჯერო სიმა-როლეს".

ხელახალი დაბადება". დენი ექლსთი-

მდეგ სიმღერის წერის პროცესი ჩემ-თის ნაწილობრივ გადავსდა კიდევ: პირველი სიმღერები კი ალბომების გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე იყო დაწერილი.

ნოელ გალაპერი რთულ დროსიც იხსენებს. წარმატებული დებიუტის შემდეგ ხომ ჯგუფში მაღლევი განწდა წარმატების სინდრომი და ამ სინდრო-მის შემადგენელი ნაწილი - ნარკოტი-კი. როცა "ოაზისი" ალბომს Definitely Maybe-ს წერდა, ნარკოტიკის ფული არ ჰქონდა, 1997 წლისთვის, ანუ Be Here Now-ს გამოსვლისთვის კი სიტუ-აცია უკვე უკონტროლო იყო:

"ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი პოპულარულები თუ გახვდებოდით. მახსოვს, ერთხელ ტურენდან დაბე-რუნდით და სახლთან ექვსსამაგდ ფა-ნი დამხვდა. კინაღამ გავგყიდი. ადგი-ლობრივმა პოლიციამ სახლის გარშე-მო სკამები დაემონტაჟებინა, ხალხს შინ შესასვლელი გზა რომ არ გადაეკე-ტა ჩემთვის... ამიტომ ქალაქარეთ გა-რჩეი ცხოვრება. ვერ გავუძელი პოპუ-ლარობას და კიდევ ნარკოტიკს. თუნ-დაც ყველაზე მაგარ წვეულებებზეც კი ხომ დგება ხოლმე მომენტი, როცა ხვდები, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება".

გალაპერი ამბობს, რომ 1998 წლი-დან ნარკოტიკს აღარ ეკავრებია. მაგ-რამ სიმღერის წერის ძველებური სუ-რეული და ნიჭი მაინც ვეღარ დაიბრუ-ნა. ამიტომ ახალ ალბომში მის ანგარე-შზე მხოლოდ ხუთი სიმღერაა. თუმცა, მას ესეც აქმაყოფილებს. ინტერვიუს კი ასე ამოავრებს:

"ამაზე უკეთ თავი არასდროს მიგ-რძენია. მრავალი წელი დაჭირდა იმი-სთვის, რომ ჩემს პირად ცხოვრებაში აღმომჩინა ის აღმაფრენა, რომელს-აც ადრეულ სიმღერებში თავისუფლ-ად გამოიხატავდი. ხელ დილას გავი-ღვიძებ და ჩემს პატარა გოგონას მი-ვესალმები, მერე კი ტურენს დაწყებას გავუფის დანარჩენ წვერებს უყუფენ. მე კი ამას არ გავუღზიანებოიარ. კა-რგი იქნებოდა, ეს ადრეც გამეკეთებო-ნა, რადგან პირველი ორი ალბომის შე-

ნიკო ფიროსმანაშვილი - ქართული კულტურის სიზოლუარი ფიგურა



ფაქტია, რომ ჩვენში, საკუთრივ მხატვრობის სფეროში, ყველაზე პოპულარული ფიგურა სწორედ ნიკო ფიროსმა-ნაშვილია. დამოუკიდებლად იმისგან, ამა თუ იმ პიროვნებ-ის რამდენად ძალუქს ჩანედეს მისი ხელოვნების არსს, ფი-როსმანაშვილის საყოველთაო აღიარებამ უმრავლესობის-თვისაც ეჭვმიუტანელი გახადა მისი შემოქმედების ფასეუ-ლობა - ეს აქსიომად იქცა ე.წ. "რიგითი" მაყურებლისთვი-სა და აღმქმელისთვის. რალა თქმა უნდა, ამგვარ მიდგომა-ში ჩანს (ხშირ შემთხვევაში მაინც), არა საკუთარ გამოცდი-ლებაზე დაფუძნებული, არამედ ერთგვარად "რწმენითი" მიგება ფიროსმანაშვილის მნიშვნელოვანებისა.

არსებითად, ფიროსმანაშვილი რამდენადმე "მითოლო-გიზებული" ფენომენია. ამასთან, ის, როგორც მოვლენა, ერთგვარად "გადის" კიდევ მხატვრობის საზღვრებიდან და იქნეს თავისებურად საყოველთაო განზომილებას, რო-გორც ერის მთელი სულიერი პოტენციის თავმოყრილად გამომხატვაი. მართლაც, ნიკალა საქართველოს კულტურ-ის დიდი სიმბოლოა, სიმბოლო, რომლის სრულფასოვანი ჩანვდომა მომავლის საქეცა.

ალბათ არ იქნება ინტერესმოკლებული მისი ხელოვნე-ბის სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა ასპექტით გააზრება, - მრავალშრიანიობისა და მრავალწანხაგოვანების წარმოჩენ-ით. ჩვენი ამოცანაც ეს არის.

დავიწყეთ ამ დიაიდ ოსტატის ხელოვნების საკვირველი მასშტაბურობით. აქ არ არის არანაირი გადაჭარბება: საქ-მე ისაა, რომ ფიროსმანაშვილის მხატვრობაში სინთეზის "შემომკრები" დიანაზონი უზარმაზარია. არაერთი, თვით დიდი ოსტატის მხატვრობაც კი, მისი მხატვრობის ტევა-დობასთან, მისივე სამყაროს მომცველობითაა მიმართე-ბით - არცთუ იშვიათად, ფრაგმენტულიც კი მოჩანს.

